



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 19

2011 წლის 16 თებერვალი

ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოქმედ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №150 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №150 განკარგულებაში „შემოქმედ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულების დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და შეიცვალოს ახალი დანართით.
3. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მის შესაბამის სამსახურებს.
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში (მის: კოსტავას ქ. №13) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე



**შემოქმედ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

- შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენა და მათი მოზიდვა საგანმანათლებლო სახელოვნებო სივრცეში.
- მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესება ხელოვნების დარგებით.
- სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- მოსწავლეთა ნიჭის თვითრეალიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა
- საბავშვო მუსიკალური თეატრ-სტუდიის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა.
- შემოქმედი ბავშვების მიერ ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.
- ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემოქმედი ბავშვებისათვის.
- შემოქმედი ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების სათანადო ბაზის შექმნა.
- შემოქმედი ბავშვებისათვის და ასევე მათი მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების გამართვაში ხელშეწყობა.
- შემოქმედი ბავშვებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა. (ტაშისკარისა და სურამის საბავშვო სახლებში, აგრეთვე სოფ. წაღვლში მინანქარსა და თექაზე მუშაობის წრეების ფუნქციონირება 8 თვის ვადით)
- გაცვლითი კულტურული პროგრამების ორგანიზების ხელშეწყობა.
- შემოქმედ ბავშვთა მონაწილეობით დელფიადებისა და ოლიმპიადების მოწყობის ორგანიზების ხელშეწყობა.

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს შემოქმედ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების\_ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 42 360 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიის ოდენობა
21	შრომის ანაზღაურება	38816
22	საქონელი და მომსახურება	3544
	სულ	42 360

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- ხელოვნების, განვითარება და პოპულარიზაცია.
- მოზარდთა და ბავშვთა სულიერი და გონებრივი განვითარება.
- სკოლისგარეშე საქმიანობის დაუფლება და იმავდროულად საგანმანათლებლო სასწავლო პროცესების ხელშეწყობა.
- შემოქმედებითი განვითარებისათვის საჭირო მომსახურების მიღების ხელმისაწვდომობა.